ოქმი:**ო08. 3724235001**

თარიღი:**22/08/2024**

ოქმი № 13

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2024 წელი, 21 აგვისტო
ქ.ოზურგეთი
13.00 -13.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ კომისიის წევრები:ვ. ნიჟარაძე, ნ. ურუშაძე, ლ. კილაძე, გ. შილაკაძე, ბ. ქათამაძე, თ. ტუღუში, ლ. ბიგვავა, გ. ჩავლეშვილი, პ. კიღურაძე.
სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: ავთანდილ ჩხაიძე

2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების

პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: ავთანდილ ჩხაიძე

კომისიის თავმჯდომარემ, დ.ჭაკნელიძემ, კომისიის წევრებს დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიაწოდა მოკლე ინფორმაცია, სრული ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა ავ. ჩხაიძემ, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წინადადებას, საკითხი დამატებით იქნას შესწავლილი და მისი საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად წარდგენა გადაწყვეტილ იქნას საკრებულოს ბიუროს მომდევნო სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ, დ.ჭაკნელიძემ, მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის მეორე საკითხზე,კონკრეტული ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა ავ. ჩხაიძემ, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წინადადებას განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად წარდგენის საკითხი გადწვეტილ იქნას დამატებითი შესწავლისა

და მომდევნო ბიუროს სხდომაზე განხილვის შემდეგ.

კომისიის წევრმა გ. შილაკაძემ დასვა შეკითხვა მუნიციპალიტეტში თხილის კულტურის ხმობის თაობაზე, განუმარტეს, რომ აღმოჩენილია ფესვების სპოროვანი დაავადება, მაგრამ მისი საწინააღმდეგო ეფექტური პრეპარატი ჯერ არაა შერჩეული, პროცესი დაკავშირებულია ხანგრძლივი ექსპერიმენტების ჩატარებასთან, თუმცა პირველი შედეგები თხილის ხმობის შეყოვნების შესახებ მიღებულია.

გადაწყვიტეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილი განკარგულების პროექტების საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად წარდგენის საკითხი გადწვეტილ იქნას დამატებითი შესწავლისა და მომდევნო ბიუროს სხდომაზე განხილვის შემდეგ.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი